პრესრელიზი
Press Release

დამატებითიინფორმაციისთვისდაუკავშირდით:
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს
ტელ. : 2 409 477; 2 409235
მობ: 577 10 99 88; 577 13 90 00
pr@gpb.ge , info@gpb.ge

საზოგადოებრივი მაუწყებლის კომენტარი „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საკანონმდებლო ინიციატივაზე

11 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერების და კულტურის და დარგობრივი ეკონომიკის და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტებმა „მაუწყებლის შესახებ“ საქარველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ იმსჯელეს. განხილვას ესწრებოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის იურიდიული სამსახურის უფროსი ელენა მიხაილოვა და სარეკლამო სამსახურის უფროსი მალხაზ ვარდოსანიძე.

საკანონმდებლო წინადადება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ეკუთვნის, რისი მიზანიც საქართველოს კანონმდებლობის ევროპის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანაა.

აღნიშნულ საკანონმდებლო წინადადებასთნ დაკავშირებით მაუწყებელმა მოამზადა შენიშვნები და მოსაზრებები, რომლებიც გაეგზავნა როგორც საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, ასევე დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის აპარატს.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის ერთ-ერთი დებულების არსებულ რედაქციასთან დაკავშირებით, რომელიც ასევე უცვლელი დარჩა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ შემუშავებული ცვლილების პროექტში, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ კომენტარი განთავსდა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. გარდა ამისა, კომისიას გაეგზავნა რამდენიმე მოსაზრება/შენიშვნა უშუალოდ იმ სიახლეებთან დაკავშირებით, რასაც მოიცავს ზემოაღნიშნული პროექტი.

საზოგადოებრივი მაუწყებელი თვალს ადევნებს პროექტზე სხვა მაუწყებლების მიერ მომზადებულ შენიშვნებს და განაგრძობს ამ სამუშაო პროცესში მონაწილეობას, როგორც საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან, ასევე პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტთან.